ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (მემორანდუმი)

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი" (შემდგომში არქივი) წარმოდგენილი მისი დირექტრის ბატონ ომარ თუშურაშვილის სახით და ა(ა)იპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (შემდგომში ინსტიტუტი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონ გიორგი კლდიაშვილის სახით, (შემდგომში მხარეები), აღიარებენ რა თანამშრომლობის მნიშვნელობას საარქივო საქმის განვითარებაში, არქივების გახსნილობის, არქივების მოდერნიზირება-დიგიტალიზაციის საქმეში და ასევე, საქართველოში დაცული საარქივო მასალების საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის მიზნით, "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს მიერ არქივის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი უდიდესი წვლილიდან გამომდინარე დებენ წინამდებარე შეთანხმებას (მემორანდუმს) შემდეგზე:

1. **შეთანხმების (მემორანდუმის) საგანი**

   1.1. წინამდებარე შეთანხმების (მემორანდუმის) საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო სფეროში.

2. **შეთანხმების (მემორანდუმის) მიზანი**

   2.1. წინამდებარე შეთანხმების (მემორანდუმის) მიხედვით, სხვადასხვა ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი და კულტურული პროექტების განხორციელება არქივებში დაცული მასალების მიხედვით, ერთობლივი პუბლიკაციების, კვლევების, წიგნების გამოცემა, კონფერენციების და სამუშაო შეხვედრების ჩატარება;

   2.2. ურთიერთდახმარებით არქივში მიმიდნარე საქმუშაო პროცესების ხელშეეწყობა და გაუმჯობესება, საერთაშორისო მასშტაბით არქივის ცნობადობის გაზრდა;

3. **მხარეთა კომპეტენცია**

   3.1. **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოთქვამს მზადყოფნას:**

   3.1.1. დასახული მიზნების წარმატებით განხორციელების მიზნით ინსტიტუტი არქივში დაცულ მასალბზე სამუშაოდ წამოიწყებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო, კვლევით და კულტურულ საქმიანობას, რომლშიც ჩართულნი იქნებიან ინსტიტუტის მკვლევარები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები;

   3.1.2. ინსტიტუტი სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად და არქივში მოწინავე განვითარებული საარქივო სამუშაო პრაქტიკის და სტანდარტების დასამკვიდრებლად მოიწვევს უცხოელ სტუმრებს და

სპეციალისტებს, ცნობილ მეცნიერებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს;

3.1.3. ინსტიტუტი იზრუნებს მოიზიდოს და დააინტრესოს უცხოელ პარტნიორები, ორგანიზაციები და ფიზიკურ პირები, რათა მათ ხელი შეუწყონ არქივში სამუშაო პროცესების უკეთ განხორციელებას და გაუმჯობესებას და ასევე, საერთაშორისო მასშტაბით არქივის პოპულარიზაციას;

3.1.4. პროექტების (კვლევითი, სამეცნიერო თუ კულტურული) განხორციელების პროცესში ინსტიტუტი მაქსიმალურად ჩართავს არქივის პერსონალს და თანამშრომლებს;

3.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოთქვამს მზადყოფნას:

3.2.1. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მაქსიმალურად შეუწყობს ხელს და დაეხმარება ინსტიტუტის მკვლევარებს და მოწვეულ სტუმრებს, არქივში სამუშაო ყველა პროცედურის დაცვით, რათა მუშაობის პერიოდში მათ შეექმნათ სათანადო პირობები და სამუშაო გარემო;

3.2.2. არქივი უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში მყოფი საარქივო მასალის და არსებული ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობას ინსტიტუტის მკვლევარებისთვის;

3.2.3. არქივი უზრუნველყოფს ინსტიტუტის პროექტებში (კვლევითი, სამეცნიერო, კულტურული) საჭიროების შემთხვევაში თავისი პერსონალის ჩართვას;

4. შეთანხმების (მემორანდუმის) ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები:

4.1. წინამდებარე შეთანხმება (მემორანდუმი) ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას (ზეპირი ან წერილობითი სახით);

5. სხვა პირობები:

5.1. შეთანხმება (მემორანდუმი) შედგენილი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეკზემპლიარად.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მხრიდან	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხრიდან
---	---
ომარ თუშურაშვილი დირექტორი	გიორგი კლდიაშვილი დირექტორი